თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 27 დეკემბრის
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 22

ქ. თერჯოლა 27 დეკემბერი 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალი ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. რუსუდან კოვზირიძე, 19. ივანე ჩუბინიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1ომარი ჯიხვაშვილი, 2. კახა ბუცხრიკიძე, 3. რამინი რობაქიძე, 4. თამარ ახვლედიანი, 5. ფრიდონ გვენეტაძე, 6. დავით ცხადაძე, 7. ნატალია ასათიანი, 8. კობა კირკიტაძე, 9. მერაბი ბასილაძე, 10. ტარიელ ფანჩულიძე, 11. როლანდი მესხი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 19 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი.

სხდომა დაიწყო 16 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 16 ^{15} სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282236016, 26.12.2022 წ.);

მომხს.: თ.ქოჩიაშვილი
თანამომხს.: ა. ურიადმყოფელი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 97.0 ათასი ლარით და შეადგენს 30034.8 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი შემცირდა 15.2 ათასი ლარით (გრანტი შემცირდა 15.2 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია).

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 112.2 ათასი ლარით (გრანტი გაიზარდა 112.2 ათასი ლარით).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 17.2 ათასი ლარით. მათ შორის:

მერიის დაფინანსება შემცირდა 2.0 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარება შემცირდა 15.2 ათასი ლარით (სატენდერო ეკონომია).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 114.2 ათასი ლარით. მ/შორის:

გზების მშენებლობა და რეკონსტრუქცია გაიზარდა 112.2 ათასი ლარით. ქ. თერჯოლაში მაჩიტიძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია გაიზარდა 28.3 ათასი ლარით და თერჯოლა ღვანკითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია გაიზარდა 83.9 ათასი ლარით.

სპორტული სკოლის დაფინანსება გაიზარდა 2.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -19 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №29, 27.12.2022 წ).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი